



04 ივნისი, 2019 წ.
ინფორმაცია მედიისთვის

„საპარლამენტო ზედამხედველობა: ანგარიშვალდებულების მოთხოვნის უფლებამოსილება“

პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

საქართველოს პარლამენტი რეგიონულ კონფერენციას უმასპინძლებს

6-7 ივნისს, საქართველოს პარლამენტის სასახლეში, თემაზე - „საპარლამენტო ზედამხედველობა: ანგარიშვალდებულების მოთხოვნის უფლებამოსილება“ რეგიონული კონფერენცია გაიმართება.

ღონისძიება 6 ივნისს, პარლამენტის თავმჯდომარის, **ირაკლი კობახიძის** მისასალმებელი სიტყვით და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დირექტორის, (OSCE/ODHIR) **ინგიბიორგ სოლრუმ გისლადოტირის** ვიდეო მიმართვით გაიხსნება. (10.00 საათი, ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზი).

კონფერენცია სესიების და დებატების ფორმატში წარიმართება. ორი დღის განმავლობაში ღონისძიების მონაწილეები სესიების ფარგლებში საპარლამენტო ზედამხედველობაში პლენარული სხდომების და კომიტეტების როლზე, ფინანსურ და უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაზე, საპარლამენტო ზედამხედველობაში ოპოზიციის როლზე, ზედამხედველობის პროცესში საზოგადოების ჩართულობაზე და ადამიანის უფლებების კონტექსტში საპარლამენტო ზედამხედველობაზე მოხსენებებს გაეცნობიან.

კონფერენციაზე, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი **გიორგი წერეთელი** თემაზე - საპარლამენტო ზედამხედველობის როლი პარლამენტებისთვის XXI საუკუნის დემოკრატიულ საზოგადოებებში, მოხსენებას წარადგენს და დისკუსიას გამართავს.

კონფერენციის ფარგლებში შეხვედრები გაიმართება გენდერული თანასწორობის და საპარლამენტო ეთიკის საკითხებზე.

კონფერენციაზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ირაკლი ბერაია** ატლანტიკური საბჭოს უფროს მკვლევართან ერთად, უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის და ამ პროცესის სპეციფიკურ გამოწვევებზე მოხსენებას წარმოადგენენ.

ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე **ირინე ფრუიძე** და სამოქალაქო საზოგადოების წევრები პარლამენტის და მოქალაქეების ურთიერთობებსა და ზედამხედველობის პროცესში საზოგადოების როლზე ისაუბრებენ.

კონფერენციის დასკვნითი დებატები საპარლამენტო ზედამხედველობის გასაძლიერებლად კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებას და ჩამოყალიბებას დაეთმობა.

რეგიონული კონფერენცია საქართველოს პარლამენტის, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის ორგანიზებით ტარდება და მასში მონაწილეობას საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა წევრი ქვეყნების, ცენტრალური აზიის ქვეყნების პარლამენტის წევრები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ხელმძღვანელი პირები, ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიღებენ.

საკონტაქტო ინფორმაცია
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი
მადონა ნოზაძე პრესცენტრის უფროსი, 599-557978 | MNozadze@parliament.ge